შაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 21 № 1245

წელიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 21 № 1245

ფასი, თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

გერმანიის საბჭოთა პირველი ყრილობა ზომიერთა გამარჯვებით დასრულდა.

შეიდემანის სიტყვით მთავრობას სპარტაკელების განადგურება განუზრახავს.

დიუსელდორფის საბჭოდან შეიდემანელები გავიდნენ.

პარიზში მუშათა და პოლიციის შორის შეტაკება, დაიჭრა მრავალი.

გვარდიის ჯარმა სადახლოსთან ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ბრძოლის დროს მოჰკლეს მთ. შტბის თავმჯდ. ამხ. და პარლ. წევრი სანდრო მაისურაძე.

გენ. ციციშვილის რაზმი სამშვიდობოს გამოვიდა.

სადახლოდან სომხური წართმეული დროშა ჩამოიტანეს.

სდგება ახალ-ახალი რაზმები. გუშინ ხევსურეთიდან ჩამოვიდა ხევსურთა რაზმი.

გუშინ ეკატერინენფელდიდან სომხის სამხედრო ტყვეები ჩამოიყვანეს, რიცხვით 58 მათ შორის ორი აფიცერი.

გუშინ დილის 11 საათზე სასადილო „უნიონში“ სადაც დაშნაკელთა პარტიული კლუბია მილიციამ სომეხთა შეთქმულება აღმოაჩინა და 300 კაცი შეიპყრო.

საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი საფრანგეთის და საბერძნეთის ელჩებმა ინახულეს.

გენ. ახმეტელაშვილი იტყობინება ვარანცოვკასთან გვარდიელებან სომხების დამარცხებას.

გულდამწვარი დედა ბარბარე, ძმები: იოსები და ივანე, დები: ნინა და მარიამ გობეჩიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 ქრისტეშობისთვეს, 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება საყვარელ და დაუვიწყარ

**ვლადიმერ პავლეს ძე გობეჩიას**

ნახევარი წლის პანაშვიდი 2—1963—1

ღრმად დამწუხარებულნი: დედა ქეთევან ესტატის ასული, დები—საშა და ნინო ისაკის ასულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი ძვირფასი შვილის ხოლო მეორენი დის თბილისის მასწავლებელთა კოლეგიის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

**ანნა ისაკის ასულის**

**ც ე რ ა ძ ი ს**

უდროოდ გადაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე დილით 10 საათ. და საღ. 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება დაბა ცხინვალში 22 ქრისტეშობისთვეს. გასვენება დილის 10 საათზე.

3—1960—3

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ევლახოვისა**

შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, სარაჯიშვილის და ინაევის მონაწილეობით;

**ტ რ ა ვ ი ა ტ ა**

**დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. — ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.**

კვირას, 22 ქრისტეშობისთვეს, დილით „**ევგენი ონეგინი**“ საღამოთი ალეშკოს, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით „**რუსალკა**“.

სამშაბათს, 24 ქრისტეშობისთვეს, სარაჯიშვილის მონაწილეობით „**მარგალიტების მაძიებელნი**“.

ოთხშაბათს 25 ქრისტეშობისთვეს, ალეშკოს, ზალიპსკის, პოლიაევას მონაწილეობით „**ზაზა**“.

ხუთშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით „**ლაკმე**“.

შაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს ი. ა. სამოსუდის ბენეფისი „**ჰოფმანის ზღაპრები**“ მონაწილეობას მიიღებენ საბანეევა, შულგინა, შვამბერგი, ზალიპსკი და ნიკოლსკი.

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)**

ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

**უკვალოდ დაიკარგა**

1-ლი ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი **დავით არონის ძე ელიგულაშვილი.**

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

**ჯილდოს მიღებით**

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.

(12—1956—5)

## განცხადება

**თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა**

## დგება მოხალისეთა რაზმები

**სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლიან ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.**

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან **1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897** და **1898,** წლებში დაბადებული ახალგაზდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურობენ სხვა და სხვა დაწესებულებაში—ადგილები შეენახებათ. 2. სამხედრო მოქმედების გათავების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკვირელს, დ ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

**ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან—14 საათამდე და 16 საათ.—18 საათამდე.**

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენ.-მაიორი **მაღალაშვილი.**

19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი 5—1

## უმადური ხალხი

საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ პირველ რიგში ვიქნებით—ასე განაცხადა სომხების სახელით დეპუტატმა დავითხანიანცმა საქართველოს პარლამენტში სამი თვის წინად „სადებიუტო“ სიტყვაში.

ამ პატეტიურმა განცხადებამ მთელი პარლამენტის ოვაციები გამოიწვია: ქართველი დეპუტატები ფეხზე ადგომით მიესალმნენ სომხების წარმომადგენლებს...

სამი თვის განმავლობაში სომხებს არა ერთხელ მიეცათ შემთხვევა დეკლარატიული განცხადება გაენაღდებინათ, მაგრამ გატაცებულ ინტერნაციონალისტების გარდა ყველასათვის იმთავითვე აშკარა იყო, რომ სომხების წარმომადგენელის დაპირება არც სხვისთვის და არც, მით უმეტეს, მათთვის სავალდებულო არ იყო.

მართლაც, სომეხ დეპუტატის საჯარო აღთქმის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მტერთა აქტიური მოქმედება უმეტესად გაცხოველდა: სხვადასხვა შეთქმულების უმდიდრეს საწყობებისა და ხიდების აფეთქების გარდა, გარეშე ძალაც ცდილობდა ჩვენი მყუდროების დარღვევას, მაგრამ სომეხთა რწმუნებულებს ეს გარემოება ოდნავაც არ აღონებდა.

ორი თვის წინად, სომხის ჯარმა საქართველოს საზღვრები რომ გადმოლახა, პარლამენტში სომეხი დეპუტატი—დაშნაკცაკანი იფიცებოდა, რომ საქართველოს სომხები არ იზიარებენ სომხეთის ავანტიურისტულ პოლიტიკას და საქართველოს დასაცავად შესაფერ ზომებს მიიღებენო. ეს განცხადება პარლამენტმა უფრო გულცივად მიიღო, რადგანაც ძეგვის ხიდის ჰაერში აგდება საკმაოდ ჰმოწმობდა დაშნაკცუტიუნის, ანუ სომხების დაუფარავ განზრახვებს. მაშინ „ლმობიერ“ სოციალ-დემოკრატებმაც აღარ დაუჯერეს „სომხის დემოკრატიის“ წარმომადგენელს და აგრძნობინეს, რომ ცარიელი დაპირებით ამიერიდგან ქართველი ერი ვეღარ დაკმაყოფილდება.

გარემოებამ სულ მალე დაგვანახვა, რომ სომხების საქვეყნო განცხადება ცხადი სიცრუის გარდა არაფერს შეიცავდა: სანაინის „ინციდენტის“ მეორე დღეს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც მთავრობას სახელმწიფო საზღვრების დაცვა ყოველივე საშუალებით ევალებოდა; ამ რეზოლუციას ხმა არ მისცა „საქართველოისათვის მებრძოლთა მოწინავე რაზმში მდგომმა“ სომეხ დეპუტატმა დავითხანიანცმა!

და ბოლოს, როგორც აპოთეოზი სომხების „რიგიანობისა“—ის საზიზღარი სცენა, რომელიც ჩვენს წინ გაიმართა პარლამენტის უკანასკნელ საისტორიო სხდომაზე. ეს სხდომა თავიდან ბოლომდე პატრიოტული მანიფესტაცია იყო ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით და მის უმწვერვალეს გამოსახვას მთავრობის თავმჯდომარის აღელვებული სიტყვა წარმოადგენდა! საქართველოს სუვერენიტეტის ვერაგულად შემლახველ მტერთან საბრძოლველად ქართველ ხალხს მოიხმობდა პრემიერი და ხალხის წარმომადგენლებს ამის დასტურს გამოსთხოვდა! დარბაზი ზანზარებდა „ვაშა“-ს ერთსულოვან ამოძახილით! უსაზღვრო ემოციით შეპყრობილი დეპუტატები, მინისტრები და დამსწრე საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივ ღირსების დამცველთა სათაყვანოდ, ქანდაკებასავით ჩამოთლილნი ფეხზე იდგნენ, ხოლო მათ შორის „სომხის დემოკრატიის“ რჩეულნი უმართებულოდ სავარძლებზედ ეგდნენ, ალბად, იმიტომ, რომ ზედმეტად დაენახვებინათ ირაკლი წერეთლისთვის „სომხის დემოკრატიის“ გულის ზრახვა, მისი პოლიტიკური მისწრაფება!

სომხის ხალხის პოლიტიკა უკანასკნელ წლებში დაუფარავად მიმართული იყო საქართველოს დასანგრევად, მაგრამ ჩვენი თვითმყოფობის აღიარების შემდგომ სომხეთის ბრძოლამ საქართველოს წინააღმდეგ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა! საჯაროდ ყველგან ზღაპრულ ქურდივით თავს იმართლებდნენ და ერთგულობას გვეფიცებოდნენ! სოციალ-დემოკრატები აღფრთოვანებით ისმენდნენ დაშნაკცაკანების ალგზნებულ სიტყვებს „ერთად-ერთ ოაზისის შესახებ, სადაც სომხის დემოკრატია ამოჟლეტას გადაურჩა და მყუდრო თავშესაფარი ჰპოვა“, მაგრამ სომხის მოღალატური „ბოლო“ ყველგან სჩანდა...

ქართველობამ დაბეჯითებით უნდა უწყოდეს, რომ მის წინააღმდეგ აშკარა განზრახვით მოიწევს გაერთიანებული სომხეთი. ოსმალეთის მიერ მიყენებულ უბედურების ანაზღაურებას სომხეთი ჩვენს ხარჯზე ჰფიქრობს! გზა-კვალ აბნეულ სომხის ხალხს დაშნაკცუტიუნმა ჭეშმარიტად საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა და საქართველოზე გამოლაშქრებით სომხეთს დაუკარგვინა უკანასკნელი დამხარე და მეგობარი მტრულად დარაზმულ სხვა მეზობელთა შორის.

სომხების სასარგებლოდ მოქმედებამ საქართველოს სულ ახლო წარსულში უთვალავი ზიანი მიაყენა. მათი გულისთვის საქართველოს დელეგაციამ საერთაშორისო ეთიკაც დაივიწყა, როცა ტრაპიზონში ხონთქრის რწმუნებულებს ოსმალეთის სომხურ ვილაიეთების ავტონომიურად მოწყობას გამოსთხოვდა. უმადურ სომხის ხალხის წარამარა გამოსარჩლებამ ჩვენ გადაგვკიდა ყველა მეზობლებს და უმთავრესად აზერბეიჯანს, რომელთანაც უსათუოდ შესაძლებელი იყო შეთანხმება და მორიგება სადაო საკითხებში. სომხების უსინდისო მაბეზღრობით შეთანხმების სახელმწიფოებში ერთხნობას ჩვენთვის არა-სასურველი განწყობილება შეიქმნა და საჭირო გახდა განსაკუთრებულ ღონისძიების მიღება, რომ გამარჯვებულ კოალიციის დიპლომატიის წინაშე უსაფუძვლო ცილისწამება გამოგვეაშკარავებინა.

საქართველოს მიწა-წყლის გარედ სომხის ხალხის აწიოკებასა და ჟლეტას საზღვარი არ ჰქონდა და მხოლოდ „საქართველოს ბედნიერ ოაზისმა“ არა ერთი და ორი ათასი სომეხი გადაარჩინა სიკვდილს. საქართველოს მცირე ტერიტორია სომეხ ლტოლვილთათვის შარა გზად იქცა: ისინი ჩასახლდნენ ყველგან, სადაც კი თავისუფალი ალაგი ეგულებოდათ და საქართველოს ხაზინის ხარჯზე იკვებებოდნენ იმ დროს, როცა სხვადასხვა კუთხეში ქართველობა ულუკმაპუროდ რჩებოდა!

ოსმალეთის ჯარის მიერ ბაქოს აღების დროს სომხური გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ დევნილი სომხები იქ მხოლოდ ქართველებთან ჰპოებდენ თავშესაფარს, სხვები-კი შიშითა, თუ სხვა მოსაზრებით ახლოს არ იკარებდნენ მათ.

საქართველოს წარსული ხომ მრავალისაგან მრავალ მაგალითს შეიცავს სომხის ხალხის უმეტესად პრივილეგიურ მდგომარეობისას. ქართველი მეფენი მუდამ მფარველობას უწევდნენ შემოხიზნულ სომხებს. ჯერ კიდევ მაშინაც სომხის ორმაგობა შესამჩნევად აღინიშნა: მთელი სომხობა ზეიმობდა თვითმპყრობელ რუსეთის მიერ საქართველოსთან ხელშეკრულების დარღვევას! მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოსათვის გლოვის დღენი სომხებმა დაუსრულებელი ლხინით აღბეჭდეს და რუსეთისაგან ვერაგულად მოტყუებულ საქართველოს ნანგრევებზე თავისი კეთილდღეობა აღაშენეს.

ასეთი იყო შორეული და ახლოწარსული.

დღეს ეს ყოვლად უმადური და გაუტანელი ხალხი ქურდულად თავს დაგვესხა. ჩვენი მთავრობა უკანასკნელ წუთამდე სამშვიდობო კონფერენციისათვის ემზადებოდა სომხეთთან სადავო საკითხების გადასაწყვეტად, ხოლო ამავე დროს ერევანში საომარ გეგმას აჩქარებულად იმუშავებდნენ საქართველოზე შემოსატევად.

სომხობას საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა განუზრახავს და ამ მიზნისთვის ყველა საშუალებას ხმარობს.

მტკნარი სიცრუეა, როცა ქართველობას ამცნობენ, ვითომც მის წინააღმდეგ ამხედრებულია კონტრ-რევოლიუცია სომხეთიდან! ამისი თქმა შეუძლიან მხოლოდ უმეცარს, ან აშკარა მოღალატეს.

ქართველი ერის დასათრგუნავად მახვილი იშიშვლა სომხობამ განურჩევლად მიმართულებისა და ეს გარემოება ქართველი ხალხის მეხსიერებაში წარუშლელად დარჩება...

ომი ყოველთვის სასტიკი და დაუზოგველია, დღევანდელ ომში კი რისხვა ქართველი ხალხისა შემმუსვრელად დაატყდება თავს იმათ, ვინც მეგობრობაში მუდამ უმადურობასა და ფლიდობას იჩენდა, ხოლო ომში—ლაჩრობასა და ქურდულ ფანდებს!

რ. ინგილო.

## თბილისის საბჭოს დაშლისათვის

ქართული პრესა და საქართველოს პარლამენტი დაიღალნენ იმის მტკიცებით, რომ თბილისის ქალაქის საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობელ დაწესებულებად გადაიქცა. საქართველოს საზოგადოებრივი აზრი დიდი ხანია მოითხოვს, რომ ბოლო მოღებოდა ამ ყოვლად ანორმალურ მოვლენას. ცა და ქვეყანამ იცის, რომ ჩვენი დედაქალაქის საბჭოს შემადგენლობა მის მცხოვრებთა ნამდვილ სახეს არ გამოხატავს; რომ ამ საბჭოს წევრთა მოზრდილი ნაწილი არჩეულია რუსის ჯარის დეზერტირებისა და სხვა და სხვა ეროვნების მოხეტიალე ელემენტებისაგან.

ეს შემთხვევით საარჩევნო მასალა ქარმა და ბორიამ წაიღ-წამოიღო და თავ-თავის სოფელ-ქალაქებს დაუბრუნა. ხოლო ამ პირთა წარმომადგენელნი ისევ ისე თბილისის საბჭოში ბრძანდებიან.

მაშინ იყო საერთო ფრონტი! მოხეტიალეს, დეზერტირსა და ადგილობრივ ძირეულ მკვიდრს ჰქონდათ საერთო ენა და საერთო მიზანი. მას აქეთ კონგლომერატი დაიშალა. ამღვრეული ზღვა წალეკვისა და ამბოხებისა დამოუკიდებელ მდინარეებად დაიყო. თითოეულმა მათგანმა თავისი კალაპოტი გაიჩინა და გაანკარავდა. აღარ არის საერთო სამდინარო; საერთო ენაც დაიკარგა. პოლიტიკური სახელმწიფოებრივი მიზნები და ზრახვანი გასხვადასხვავდნენ, ერთმანეთს დაშორდნენ და ურთიერთს ეჯახებიან.

დღეს მთელი რუსობა საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვის და სიხარულით მოელის იმ დღეს, როდესაც საქართველოს კისერი მოეგრიხება და დასამცირებლად, დასაცანავად და შესაჭმელად ისევ რუსეთს ხელში ჩაუვარდება!

დღეს სომხობა მახვილით ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ. თავის უბედურს საკუთარი დამოუკიდებლობა შესძულებია და ბოროტებითა და ლვარძლით ატანილი იმასღა ცდილობს, თუ როგორ დაგვიქციოს დამოუკიდებლობის შენობა. აი ამ რუსობას და ამ სომხობას, საქართველოდან წასვლის შემდეგ, საქართველოსვე გულში, მის დედაქალაქში, დარჩა ლეგალური წარმომადგენლობა. ეს გახლავთ თბილისის საბჭოს წევრნი. იმის გარდა, რასაც ეს პირები ფარულად და კონსპირატიულად აწყობენ და სჩადიან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, არც ერთ მარჯვე შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ, რომ აშლილად და თავხედობამდე აღწეულ ზვიადობით საბჭოს ტრიბუნიდან საქართველოს წინააღმდეგ არ გაილაშქრონ!

მათ მკერდ ქვეშ ბობოქრობს შეუკავებელი მძულვარება და მტრობა **დამოუკიდებელი** საქართველოს მიმართ. მათ ტვინში იკვანძება მუხანათური რწმენა და ითხზვება მოღალატეობის გეგმა. ქარი დაუდგესთ და თქვენ ნახავთ აღვირახსნილ სიაფთრეს, რომლითაც ისინი ხელს მიჰყოფენ საქართველოს დაცემას და მის უკანასკნელ აგურების დაფშვნა-განიავებას. ამაში დარწმუნებულია მთელი ქართველობა, დიდიდან პატარამდე, ქალი თუ კაცი. და მაინც, და ამის მიუხედავათ, საქართველოს აღმასრულებელ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, დღემდე მათ წინააღმდეგ არავითარი

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი. დაეხმარეთ ფ ო ნ დ ი ს გაძლიერებას!**

ზომა არ მიულია. ჩვენ ეს მიგვაჩნია განუზომელ დანაშაულობათ. დღემდე კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ დღეიდან კი ყოვლად შეუწყნარებელია ამის ატანა! საქართველომ სასწორზე გაიტანა თავისი ეროვნული ღირსება, მთელი თავისი სასიცოცხლო ძალა, თავისი მომავალი. და ეს იძულებით, სომხობის მუხანათურ თავდასხმისა და სომხის ჯარის მიერ ჩვენი რაზმების მოულოდნელ ამოჟლეტის შემდეგ! შესაწირავი მსხვერპლის სიმაღლე და უმანკოება ქართველობაში აღვიძებს პასუხის მგებლობის უზენაეს შეთვისებას. მომენტის სიდიადე აწონილია და ნაბიჯიც გადადგმულია სრულის შეგნებით და გარდაწყვეტილებით.

მთავრობა და პარლამენტი ერთსულოვანია, ერი მიჰყვა. საქართველო დღეს ერთი სხეულია, ერთი გრძნობა და ერთი რწმენა. რაც კეთდება და რაც მოხდება ამ ომის პროცესში, ამის პასუხისმგებლები არიან ქვეყნის მეთაური ორგანოები: პარლამენტი და მთავრობა. ქვეყნის აზრი და გრძნობა მარტო ამ გზით უნდა ეცნოს და გამოეცხადოს ყველას, შინაურსაც და გარეშესაც. და ამ დროს გამოდის თბილისის ქალაქის საბჭო, ითვისებს ისეთ ფუნქციას და უფლებას, რომელიც მას არ ეკუთვნის და ვერც ვერ-რას გზით ვერ მიეკუთვნება, შედის მომენტის არსებით განხილვაში და თავისი საკუთარი რეზოლუციები გამოაქვს. ამ რეზოლუციით იგი სწყვეტს ადგილ სახელმწიფოებრივ პრობლემას და ამ გადაწყვეტილებას უგზავნის ერევნის ქალაქის საბჭოს! ამას იქით სადღა წავიდეთ!?

გვინდა ვიკითხოთ: ვის უჭირავს მანდატი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისა, მთავრობა-პარლამენტს, თუ თბილისის ქალაქის საბჭოს? ფაქტიურ ომის ხანაში, თბილისის ქალაქის საბჭო, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები სხედან, ბედავს და აფორმულებს სამხედრო-სასიცოცხლო პრობლემების შესახებ თავის რედაქციის და ჩვენთან მახვილით მომდგარ მტერს უგზავნის!! თბილისის ქალაქის საბჭო ჩადის სახელმწიფო დანაშაულს.

თბილისის ქალაქის . საბჭოს დისონანსი შეაქვს საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებასა და განწყობილებაში, იგი არღვევს გრძნობის, გარდაწყვეტილების და მეთოდის ერთიანობას. თბილისის ქალაქის საბჭო ჩვენს ჯარს ზურგს უშლის და უნგრევს. თბილისის ქალაქის საბჭო დანაშავეა.

მოვითხოვთ, რომ იგი დაუყოვნებლივ დაშლილ იქმნას. მთელი ქართველი ხალხი ამ მოთხოვნაში ჩვენთან არის.

ამ განსაკუთრებულს წუთებში, როდესაც საქართველოს ბედი უნდა გადაიჭრას, საჭიროა სწრაფი და მკაცრი მოქმედება. ვიდრე სამშვიდობოს გავიდოდეთ და თბილისს წესიერის არჩევნებით თავისი ნამდვილი საქალაქო საბჭო შეუდგებოდეს, თბილისის საქმეები მთავრობამ ხელში უნდა ჩააბაროს საგანგებო მაგისტრატს.

ჩვენი ხმლის ინტერესი ამას მოითხოვს, და ხმალს ხომ მთელი ჩვენი ქვეყნის ინტერესი ჩავაბარეთ. არ გვინდოდა, მაგრამ ეს ასე ინება სურვილმა და ნდობაზე უფრო ძლიერმა ძალამ. რადგან ეს მოხდა, ყველაფერი შეეწიროს საქართველოს ინტერესს, მის დამოუკიდებლობას, მის მომავალს. თბილისის ქალაქის საბჭო უნდა დაიშალოს.

ხვ. კედია.

## ერევნის დესპანი ს. მდივანი

ჩვენ დიპლომატებს დიპლომატიური წარსული არ აქვთ, მაგრამ ბ. ს. მდივანს აქვს მაინც წარსული, რომელმაც შეიძლება გამოიწვია კიდეც მისი დანიშვნა საქართველოს ელჩის ადგილზე არარატის რესპუბლიკაში.

ამბობენ (რადგან ისტორია ჯერ არ დაწერილა), რომ ბათომში ბ. ს. მდივანმა სხვებთან ერთად ჩააბარა ოსმალეთს. ბ. მდივანს არავითარი სამხედრო ფუნქცია არ ჰქონია იმ დროს თითქმის არც პარტიულ რაზმის უფროსი ყოფილა, მაგრამ მაშინ მხედრობა არ ყოფილა საჭირო, რომ კაცს გადამწყვეტი როლი ეთამაშა და ამ ფუნქციების არევამ გამოიწვია სწორედ ბათუმის სირცხვილი.

ბ. ს. მდივანი იქ მოქმედებდა, როგორც ბათომის ძველი მცხოვრები, სოც.-ფედერალისტი და აჭარლების ნაცნობი. და ამ დამსახურების აღსანიშნავად ბ ს. მდივანი შემდეგ დანიშნული იყო ს.-ფედერალისტებისაგან ქართულ პარლამენტის სამხედრო კომისიაში და თითქმის ყოველთვის ის გამოდიოდა მომხსენებლად ამ კომისიის სახელით, უმეტეს შემთხვევაში დახურულ სხდომებზე.

ეს როლი გრძელდებოდა სანამ მან წარჩინება არ მიიღო და ელჩად არ დაინიშნა ერევანში.

მთავრობის წრეებში ამბობდენ და საგაზეთო ქრონიკაშიაც აღინიშნა, რომ პირველი კანდიდატი ერევნის ელჩის ადგილის იყო ბ. პ. ჭუმბაძე;

მაშინ იმასაც ამბობდენ, რომ ბ. ს. მდივანი კონსტანტინოპოლში უნდა დანიშნულიყო ელჩად, მაგრამ ბევრ მიზეზების გამო ისე მოხდა, რომ ბ-ნი ს. მდივანი დაინიშნა ერევნის ელჩად.

ეხლა მიღებულია ერთგვარ ტრაფარეტათ, რომ ყოველივე შეცდომა მთავრობის თუ სახელმწიფო შენებაში ჩაბმული პარტიებისა აიხსნას გამოუცდელობით და ახალგაზრდობით; რასაკვირველია ამას ანგარიშის გაწევა უნდა, მაგრამ ძალიან ხშირად შეიძლება შეცდომების თავიდან აცილება, რომ პიროვნების შერჩევა მარტო პარტიულ მრევლში არ ხდებოდეს.

ჩვენ ვიცით როგორ გულგრილად ეპყრობოდა საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ე. გეგეჭკორი სომხეთის საკითხს; ომის გამოცხადების სამი დღის წინ ის არწმუნებდა პარლამენტს და ქართველ საზოგადოებას არარატის მტრების მშვიდობიანობაზე და როცა სანაინი სომხებმა დაიკავეს და ომი გაჩაღებული იყო კიდეც, მინისტრი ახირებული დიპლომატიური გაჩუმებით სულ წინააღმდეგს აჩვენებდა.

ჩვენ რასაკვირველია არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მინისტრი შეგნებულად სჩადიოდა ამ დანაშაულს, მაგრამ საკითხავია, რას აკეთებდა ბ. ს. მდივანი ერევანში, როცა მის წინ მრავალ ათასიანი სომხური მხედრობა იგზავნებოდა საქართველოსკენ. სომხეთი იმპერია არ არის, რომ კალონიებიდან მოზიდონ „ფერადი კანიანი“ ჯარები; არარატზე დადგომა არ არის საჭირო, რომ შენიშნოთ, როგორ მოძრაობს ათიათასობით ჯარი ერევანში. და შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯარმა ზედ ბ. მდივანის ცხვირის წინ გაიარა. საჭირო არ იყო აგრეთვე გამოცდილება სტრატეგისა, (მდივანი სამხედრო კომისიის წევრია), რომ შეენიშნა ეს უჩვეულო გადაჯგუფება.

ბ-ნი ს. მდივანი სიტყვებს ამბობდა კარჩაკიანის და სხვათა დასაფლავებაზე, დასაფლავების სიტყვების თქმაში ბ. მდივანს მართლაც აქვს გამოცდილება, რადგან ყოველი რაზმელის კუბო მიტინგის ტრიბუნათ ხდება ს.-ფედერალისტების ხელში.

ამის გარდა ბ-ნი ს. მდივანი მგზავრათ მოყვებოდა სომხეთის საგარეო მინისტრს, ბ. ტიგრანიანს, რომელსაც ჯიბეში ედვა კადნიერი ულტიმატუმი.

ბ. მდივანი სოციალისტია. ისიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ კონფერენცია მოწვეული ყოფილიყო და საქმე მშვიდობიანობით გათავებულიყო და ეს იყო მიზეზი, ალბათ, რომ საიმედო დეპეშებს უგზავნიდა თავის მთავრობას: სომხებს მორიგება სურთო.

ეხლა ყველამ ვიცით, რითი გათავდა საქმე; როგორ დაგვესხენ თავზე მოულოდნელათ სომხები და ლამის ეროვნულ კატასტროფამდე არ მიგვიყვანეს და უნახავი სირცხვილი არ გამოვცადეთ.

ბ-ნი ს. მდივანი ეხლა თბილისშია.

ის იყო ქართულ პარლამენტში, როცა აშკარა გახდა რა ნაღმებზე ყოფილა თურმე საქართველო დაყრდნობილი; ბ-ნი მდივანი კი სდუმდა.

ბატონმა ე. გეგეჭკორმა ჯერ ქალაქის საბჭოში სცადა თავის გამართლება, რაც სკანდალით გათავდა, ეხლა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში აკეთებს მოხსენებას. იქ, ალბათ, უფრო სასტიკათ დახვდებიან ბ. მინისტრს— სხვა არა იყოს რა, იქ იქნებიან თარხანოვი და თუმანოვი.

ამისთანა ამბავს ალბათ მთავრობის პრესტიჟის დაცვა ჰქვია?..

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი მდივანიც გააკეთებს მოხსენებას ს.-ფედერალისტების პარტიულ კლუბში და ეცდება თავის მოქმედების გამართლებას, ჩვენი მინისტრებიც და კლასებიც მხოლოდ პარტიის წინ არიან პასუხისმგებელი; მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამას საქართველოს სახელმწიფოებრივ შეგნებასთან.

ბ. ს. მდივანი ჯერ არ გადამდგარა თავისი პოსტიდან, მაგრამ შეუძლებელია, რომ ის თავის პოსტზე დარჩეს!

(თუმცა დიპლომატიური დამოკიდებულება ჯერ ხნობით შეწყვეტილია ერევანთან).

ენამახვილობისთვის და ოხუნჯობისთვის არ არის დრო.

მაგრამ საქართველოში კარიერა მარცხით კეთდება და უკუღმა პროპორციით იზრდება. შეიძლება ბ-ნმა მდივანმა მიიღოს წარმატება სამსახურში, და რადგან ერევნის ელჩის ადგილი ს.-ფედერალისტების ხვედრია და მათი კანდიდატები უნდა დაინიშნოს ეს ადგილი ალბათ ბ. ერასტი ტოროტაძეს ერგება.

სხვა უფრო დამსახურებული ფედერალისტები ამ დროს ან მინისტრებათ იქნებიან ან და უფრო დიდ პოსტებზე და, ამის გარდა, როგორც ამბობენ ს.-ფედერალისტების პარტიის მუშების ოპოზიცია თანდათან ძლიერდება და ეს ერთგვარი კომპესაციაც იქნება.

ასეთ ხალხზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი.

ჩვენ განგებ არ ვადარებთ ერთმანეთს ბ-ნ მდივანს და არშაკ ჯამალიანს, ეს შედარება უფრო დამამცირებელი იქნებოდა ეროვნულ თავმოყვარეობისთვის.

ვარამ გაგელი.

## პ რ ე ს ს ა

საქართველოს დამოუკიდებლობის ყველაზე უფრო შეურიგებელ მტრების გაზეთი **„ზნამია ნაროდა“** აღშფოთებულია მთავრობის მიერ მიღებულ ზომებით ჩვენი დედა-ქალაქის გაწმენდისა და დაცვისათვის. საქართველოს გამაგრებასა და გაძლიერებას მოწლვაებულ მტრის უკუსაგდებლად ეს გაზეთი არ ურჩევს ჩვენ მთავრობას. იგი სწერს:

„ის გზა, რომელზედაც მთავრობა დგება, ჩვენის აზრით, არამც თუ ყალბია, არამედ საშიშარია და დამღუპველი, ვინაიდგან გადამეტებული და არა სასურველი გადიზიანებისა და მღელვარების გარდა, არაფერ სიკეთეს მოგვცემს. მართლაც, არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ქართველ ხალხის განსაზღვრულ ნაწილში სუფევს დიდი აღშფოთება საქართველოში მცხოვრებ სომხებისადმი და ისინი მხოლოდ საბაბს ეძებენ სომხებზე ძალადობის მოსახდენად“.

პროვოკატორების გაზეთის საყურადღებოდ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ. რომ მოუსვენართა და აშკარა მაბეზღართა წინააღმდეგ შემდეგშიც ულმობელი ზომები იქნება მიღებული და სოციალისტური მართებლობა მთელი ქართველი ხალხის ერთსულოვან გადაწყვეტილებას გვერდს ვერ აუხვევს. „პოგრომების“ მოწყობა „ზნამია ნაროდა“-ს მხოლოდ გაახარებს; მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ თბილისის გაწმენდა უპოგრომოდაც შესაძლებელი იქნება.

* * *

**სომხეთის სახალხო პარტია ომის შესახებ.**

„ჟოღოვურდი ძაინი“ (№ 85, 19 ქრისტეშობისთვისა) კვლავ მწუხარებას გამოსთქვამ რომ

„მოხდა საშინელი საქმე; ორი საუკუნოების მეზობელი ერი დღეს ერთმანეთის წინააღმდეგ დგას, ხმალ გაშიშვლებული და სამშობლო ველებს რწყავს ერთმანეთის ძმური სისხლით...

საკითხი სრულიად ნათლად დგას ჩვენს წინაშე.

ორ ერს აქვს ერთმანეთში სრულიად გარკვეული **ეროვნული დავა** (ხაზი. ჟ. ძ.) ტერიტორიის გამო რომლის საკითხი ჯერაც გარკვეული არ არის და რომლის **ერთმანეთთან შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით უნდა გადაწყდეს.** (ხაზი ჩვენია)“...

სომეხთა სახალხო პარტიას, რომ მართლა აინტერესებდეს სიმართლე განა ეს მშვიდობიანი საშუალებანი საქმის გადასაჭრელად ერთხელ და ორჯელ სცადა საქართველოს მთავრობამ? მაგრამ რა მიიღო პასუხად სომხეთისაგან? ბოიკოტი კავკასიის კონფერენციისა, გაჭიანურება და გამოუცხადებლობა კერძო ქართველ-სომეხთა კონფერენციაზე, რომელიც წინასწარ უნდა გამართულიყო, სომხებისავე წინადადებით, და დასასრულ აჯანყების სამოსელში გამოხვეული ომი,— და ამის შემდეგ „ჟოღოვურდი ძაინი“ მოგვიხმობს მოლაპარაკებისა და არბიტრაჟისაკენ.—არა, ბატონებო, დღეს საქართველოსა და სომხეთს შორის „მოციქული არის მხოლოდ ტყვია“.

# საქართველო-სომხეთის ომი

## ბრძოლის ველზე

**19 ქრისტეშობისთვე, 3 საათი.**

## სამხედრო შტაბის ცნობა

**სახალხო გვარდიის გამარჯვება**

მხოლოდ ეხლა დასრულდა სომხეთის ჯარის, რომელიც ეკატერინოფელდზე უტევდა, და ჩვენი გვარდიის ბრძოლა. ბრძოლა დაიწყო დილის ექვსი საათიდან. მოწინააღმდეგემ ისარგებლა ნისლით, შემოერტყა ყოველმხრივ სახალხო გვარდიას და დაიწყო შემოტევა ჩვენს ბატარეაზე, მაგრამ სახალხო გვარდიამ კონტრ-იერიშით მტერი დაამარცხა და გააქცია ბრძოლის ველიდან.

სომხებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მთელი ველი დაფარულია მათი გვამებით.

ტყვედ წამოვიყვანეთ ბატალიონის უფროსი, რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცები.

გაქცეული მტრის დევნა გრძელდება.

ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიელი სანდრო მაისურაძე.

ყველას სულიერი განწყობილება მეტად კარგია.

## ჩვენი სამხედრო ვითარება

გუშინ 20 ქრისტეშობისთვეს საქართველოს პარლამენტში სამხედრო მინისტრმა ჩვენი სამხედრო ვითარების შესახებ, შემდეგი ცნობები გამოაქვეყნა.

**ახალქალაქის მიმართულებით.**

16 დეკემბერს დილის 5 საათზედ მტერი თავს დაესხა ჩვენს საზღვრების მოდარაჯეთ. ჩვენმა ჯარისკაცებმა ისინი უკუაქციეს. ტყვეთ ჩაუვარდათ 1 ცხენოსანი. რის შემდეგი შემოტევაც უკუ ქცეულ იქმნა.

საღამოს 8 საათზე დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა 16 საათამდის. პოზიციები ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა. ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მტერი საზღვარს იქით გაიდევნა. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა პოლკოვნიკმა ხერხეულიძემ და კაპიტან კანდელაკმა.

დღეს დილით ცნობა მოვიდა, რომ მოწინააღმდეგეს კვლავ განუახლებია შემოტევა, მაგრამ გენერალ მაყაშვილს იგი სასტიკად დაუმარცხებია. ტყვედ წამოყვანილია 60 ჯარისკაცი, 2 ოფიცერი და ტყვიისმფრქვეველი და სხვა იარაღი.

**სანაინისკენ.**

სანაინისკენ ბრძოლა გაჩაღდა 17 ქრისტეშობისთვეს. მოწინააღმდეგენი დაეშვენ მთებიდან და შემოუტიეს ჩვენს ჯარს. 2 საათის ბრძოლის შემდეგ მტერი უკუქცეულ იქმნა, მაგრამ შემდეგ ისევ განაახლა შეტევა და ჩვენმა ჯარმა მათ ალყა შემოარტყა. ტყვეებს შორის არიან რუსებიც. ჩვენმა ჯარმა სომხებს წაართვა საესკადრონო ნიშანი.

ამ ბრძოლაში დაიღუპა სახელოვანი მებრძოლი, როტმისტრი ან. დადიანი. გუშინ ღამითაც სწარმოებდა ბრძოლა ამ მხარეს, მაგრამ მოსული ცნობით, ჩვენი ჯარი მედგრად სდგას დაკავებულ პოზიციებზე და მხნედ იცავს.

**ვორონცოვკისკენ.**

ვორონცოვკასან ბრძოლა 19 ქრისტეშობისთვეს სწარმოებდა. გვიან ღამით მივიდა ეკატერინეფელდში თბილისის გვარდია ჯუღელის მეთაურობით. მათ იქ წინეთ მისულნი უცდიდნენ. გვარდიელებს ტანთსაცმელის გახდაც კი ვერ მოესწროთ, რომ დილის 6 საათზედ მოულოდნელათ მტერი თავს დაესხა და ჩვენს რაზმებს ალყა შემოარტყა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელი, სანდრო მაისურაძე და ალ დგებუაძე.

ღენერალ მაღალაშვილისაგან უკვე მოვიდა ცნობა, რომ მტერი სასტიკათ დამარცხდა, ვორონცოვკასთან დაღუპულა ბრძოლის ხელმძღვანელი, გვარდიის ერთი მეთაურთაგანი პარლამენტის წევრი სანდრო მაისურაძე.

## სამხედრო მინისტრის მოწოდება საქართველოს ხალხისადმი

**მოქალაქენო!** ომის და რევოლუციის დროს პირველ რიგში თქვენ იდექით და ბრძოლითა და სისხლით იკაფავდით გზას თავისუფლებისაკენ.

თქვენმა რაინდობამ და კლდე გულმა დაამსხვრია მონობის ბორკილები და საქართველოს ცაზედ ამობრწყინდა მზე თავისუფლებისა.

თქვენ მიერ არჩეული და თქვენი ნდობით აღჭურვილი მთავრობა მხნედ და მტკიცედ შეუდგა ყოველივე იმის განხორციელებას, რაც მას დაავალა რევოლუციამ და მისმა მედროშეებმა.

ორგულიც კი იტყვის, რომ უზარმაზარ რუსეთის სივრცეზედ ერთად-ერთი საქართველოა, სადაც ხალხმა და მისმა მთავრობამ გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება, შექმნეს საშინელ პირობებში სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ქარიშხალის ტალღებში დაამყარეს ერთგვარი წესიერება და მშვიდობიანობა.

საქართველო სულ რამოდენიმე თვეში გადიქცა სახალხო რესპუბლიკად; ლამპარი თავისუფლებისა, თანასწორობისა, ხალხთა შორის სრული ძმობისა და სოლიდარობისა დაინთო შიგ და ჩვენი სამშობლოს დიდების განთიადი უკვე გამოჩნდა.

**მოქალაქენო!** მტერს შეშურდა, მტერმა ველარ მოისვენა; მან მოინდომა ამ ლამპარის ჩაქრობა, ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვა.

ჩვენ მთავრობას არც სურვილი ჰქონდა და არც დრო სხვას შედავებოდა. ჩვენი მთავრობა მთელ თავის ძალღონეს ალევდა ახალ ცხოვრების აშენებას ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ; მეზობლებთან კი სრული მეგობრული ურთიერთობის გამტკიცებას ცდილობდა.

სწორეთ ამ დროს მოგვეპარა მტერი ქურდულად და მუხანათურათ, ზურგში ჩაგვცა ხანჯალი.

ეს მტერია სომხეთის მთავრობა.

მოქალაქენო! თქვენ კარგად იცით, ვის ხელშია დღეს ეს მთავრობა.

ესენი არიან ის პირები, რომლებსაც ყველგან შხამი და მტრობა შეაქვთ და რომლებიც თვით სომხის ერს დაღუპვისკენ მიაქანებენ. აი ამ მტერმა მოინდომა დღეს ჩვენი სამშობლოს და ჩვენი თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა.

თუ ამ მტერმა გაიმარჯვა, იცოდეთ, უნდა გამოეთხოვოთ მაშინ რესპუბლიკას, სამშობლოს თავისუფლებას და თანასწორობას.

ეს კიდევ ცოტაა: შერცხვენილებს, თავლაფდასხმულებს, ყველა პირში ჩაგვაფურთხებს დ გვეტყვის,—შორს ჩვენგან, თქვენ ღირსი არა ჰყოფილხართ თავისუფლებისაო.

**საქართველოს რესპუბლიკის არწივებო!** შემოკრბით თქვენი მთავრობის გარშემო და დაანახვეთ მუხანათ მტერს, რომ თქვენს ჰანგებს შეუძლიათ დღეს თქვენი სამშობლოს და თავისუფლების მტერთა დაფლეთა.

აინთეთ ცეცხლით გული, გაიმსჭვალეთ ერთის ფიქრით და ერთის გრძნობით და მედგრად, ელვის სისწრაფით ეკვეთეთ თქვენი თავისუფლების მტერს ქართველურად, მამაცურად, როგორც შეშვენის ჭეშმარიტ დემოკრატებს და რევოლიუციონერებს.

**მოქალაქენო! მობილიზაცია გამოცხადებულია და ჩვენი მთავრობა იწვევს რესპუბლიკის და თავისუფლების დასაცავად 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში დაბადებულ გმირებს.**

მაგრამ გვწამს, რომ თქვენ შორის გმირები გაცილებით მეტია.

თქვენი შეგნება, თქვენი სინდისი და რევოლუციის ქარცეცხლში გაკაჟებული გული გეტყვით თქვენ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ დღეს. გაითვალისწინეთ ის მონობა და საშინელი დამცირება, რომლითაც გემუქრებათ ავაზაკურად შემპარავი მტერი.

მოიგონეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეწირულთა წმინდა საფლავები და თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ რა არის დღეს თქვენი წმინდა, თქვენი ღვთიური მოვალეობა.

სწრაფად გაჩნდებით ყველა, ვისაც მთავრობა გიწვევთ ჯარში სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავთ, **სხვები კი მოხვალთ მოხალისეებათ,** რომ საერთო ძალღონით და ერთის დაკვრით გაუქარწყლოთ მტერს მისი იმედები.

**მოქალაქენო!** სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ არავითარ მტერს მისი დამარცხება არ შეუძლია!

დღეს გამოჩნდება, რამდენად გიყვართ სამშობლო და თავისუფლება.

გამარჯვება, დიდება და უკვდავი სახელი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლებს!

საქართველოს რესპუბლიკის
სამხედრო მინისტრი **გ. გიორგაძე.**

## რაზმების შედგენა

თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა, **დგება მოხალისეთა რაზმები,** სადაც [illegible] ყველა მოქალაქეს შეუძლიან ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან. მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზდები. რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს (გიორგი); პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, გ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს. ჩაწერა შეიძლება ბარიატინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან 14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენ.-მაიორი **მაღალაშვილი.**

## ჯილდო სამშობლოს დამცველთ

პირველ რაზმის უფროსს როტმისტრ დოლიძეს და მეექვსე რაზმის კაპიტან მაჭავარიანს, 11—14 ქრისტეშობისთვის ბრძოლაში მამაცობის გამოჩენისთვის, სამხედრო მინისტრის ბრძანებით პოლკოვნიკობა მიენიჭათ.

## გენ. ივ. ციციშვილის რაზმი

გენ. ივანე ციციშვილი თავის 50 ჯარისკაცით, რომელთაც ვორონცოვკაში სომხების ჯარი ვერაგულად დაესხა, მოიგერია და სასტიკად დაამარცხა. ჩვენმა ჯარმა წრე გაარღვია და სამშვიდობოს გამოვიდა.

## დავით ვაჩნაძის დანიშვნა

დავით ვაჩნაძეს, საქართველოს პარლამენტის წევრს და ყოფილ 2 კავკასიის საპიორთა ბატალიონის პოდპორ. სამხედრო მინისტრის განკარგულებით მიეცა პოლკოვნიკის ხარისხი.

## ხევსურთა ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ხევსურთა რაზმი ჩამოვიდა. რაზმი აღფრთოვანებულია და მზადაა სამშობლოს დასაცავად.

## რაზმების შედგენა თუშ-ფშავ-ხევსურეთში

ბ. შალვა ქარუმიძე თუშ-ფშავ-ხევსურეთში გაემგზავრა მთიელების რაზმების შესადგენად.

## რაზმების შედგენა ბორჩალოში

კ. სვიმონიშვილმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს ბორჩალოს მაზრაში მოხალისეთა რაზმები შეადგინოს.

## მობილიზაცია

სამხედრო მინისტრის გადმოცემით მობილიზაცია ბრწყინვალედ მიდის. ყველა სიამოვნებით ეწერება ჯარში. ენტუზიაზმი დიდია.

## სომხების დროშა

თბილისში ჩამოტანილია ჩვენი მამაც მეომრებისაგან სადახლოს ბრძოლაში წართმეული სომხების დროშა.

## ბაქოს ქართველთა საბჭოს სალამი

ბაქოს ქართველთა ნაციონალური საბჭო საქართველოს პარლამენტს სალამს უძღვნის და ამასთან ერთად იმედოვნებს, რომ საქართველოს დემოკრატიის ბელადები აღადგენენ საქართველოს ბრწყინვალე დიდებას.

თავმჯდომარე **კვიტაშვილი.**

## საფრანგეთ-საბერძნეთის წარმომადგენლები ე. გეგეჭკორთან

საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი 18 და 19 დეკემბერს ინახულეს საფრანგეთის წარმომადგენელმა და საბერძნეთის ელჩმა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მასთან.

## სომხების შეთქმულობა

გოლოვინის პროსპექტზე სასადილო „უნიონ“-ში, სადაც იმყოფება დაშნაკელთა პარტიული კლუბი, მილიციამ აღმოაჩინა სომხების შეთქმულობა და შეიპყრო სამასი კაცი, რომელთაც კავშირი ჰქონიათ სომეხთა მებრძოლ რაზმებთან. ამ ამბავმა ქალაქში დიდი სენსაცია გამოიწვია.

## ფრიდონ წულუკიძის რაზმი

ქუთაისის გაზეთებში დაბეჭდილია მოწოდება დივიზიონის უფროსის პოდპოლკოვნიკის ფრიდონ წულუკიძისა, რომელიც მოხალისეებს იწვევს მეორე ცხენოსანთა პოლკში. ქუთაისში ჯარში ჩაწერა სწარმოებს სასტუმრო „ფრანცია“-ში, ოთახი მეორე. როცა მოხალისეთა საკმაო რაზმი შესდგება გაგზავნილი იქნება თბილისში მეორე ცხენოსან პოლკში, სადაც დამზადებულია კიდეც ყველაფერი საჭირო შეიარაღება.

## ბრძოლა მტრის დამხმარეებთან

(მიღებული პარლამენტის 20 ქრ. სხდომაზე)

1. საქართველოს რესპუბლკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს სამხედრო მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ ან და გარეშე მტერს აქტიურ დახმარებას გაუწევს იარაღის, ფულის თუ ცნობების მიწოდებით ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას, ჩამოერთვას მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ. 2. ეს კანონი შედის ძალაში დეკემბრის პირველიდან 1918 წლისა.

## ომის დაწყების მოწმე

„ერთობა"-ში მოთავსებულია ერევნიდან ჩამოსული მ. კ—ძესთან საუბარი:

„30 ნოემბერს ჩვენი მთავრობის ბრძანებით თბილისიდან წავიყვანეთ მატარებელი, რომ ერევნიდან ჩამოგვეყვანა ჩვენი დიპლ. წარ. ბ-ნი ს. მდივანი და სომხეთის დელეგატები თბილისში. მე ამ მატარებლის მემანქანედ ვიყავი. კარაკლისს რომ გავცდით, სომხური ჯარები გვხვდებოდა. ყველგან გვაჩერებდნენ და დიდი დავიდარაბის შემდეგ გვიშვებდნენ, როცა იგებდნენ, თუ რისთვისაც მივდიოდით ერევანში. ვნახეთ ჩვენი დიპლ. წარმომადგენელი, მაგრამ იქიდან მალე ვერ მოხერხდა წამოსვლა და იქ 8 დღე დავრჩით. ერევანი ჯოჯოხეთს დამსგავსებია. იქ დიდი შიმშილობაა. ყოველ დღე იხოცებიან ლტოლვილები, რომელთაც გაუვსიათ ყველა ყაზარმები. ისინი მეტად დაბეჩავებულ მასას წარმოადგენენ. მთელი ერევნის მცხოვრებნი სამ ნაწილად განიყოფება: დაბეჩავებული მასსა, რომელიც მეტად პასიური ელემენტია, „ზინვორები" ანუ სამხედრო პარტია და ბურჟუაზია. გამარჯვებულია „ზინვორიზმი", რომლის ტერორი შიშს სცემს იქ ყველას. მთავრობა მათი გავლენის ქვეშაა. მათი მეთაურია ბ-ნი დრო.

4 და 5 დეკემბერს ჯარები წამოვიდნენ ერევნიდან. იყვნენ რუსის აფიცრებიც. დისციპლინა სასტიკი აქვთ. აფიცერს უფლება აქვს ჯარისკაცი დახვრიტოს. ქართველების დიდი სიძულვილი აქვთ. ყველაზე ძალიან ჩხენკელი სძულთ. კარჩიკიანი იმიტომ მოჰკლეს, რომ ის ქართველ დემოკტიას კარგი თვალით უცქერდა. ორთქლმავალი წაგვართვეს თავის საჭიროებისათვის და როგორც იყო, დავიბრუნეთ. 14 დეკემბერს წამოვედით ერევნიდან. ს. მდივანთან ერთად წამოვიდნენ სომხის მინისტრები პაპაჯანოვი, გულიევი და სხვ. ალექსანდროპოლში მისვლისას გავიგეთ, რომ სომხები აპირებდნენ საქართველოს მოსაზღვრე ჯარებზე შეტევის დაწყებას. როცა კობერში ამოვედით, იქ შეგვაჩერეს და აღარ გამოგვიშვეს. იქ კი ყველაფერი გავიგეთ. იქვე ვნახეთ ჩვენი ჯარისკაცები მკვდრები, რომლებიც სომხებს მოეკლათ, სრულიად დასახიჩრებულნი და ტიტველნი. იქიდან კარაკლისში წავედით. აქ მოუვიდა ჩვენ დიპლ. წარ. ნოტა, რომ დაეცალათ ადგილები ჩვენ ჯარებს. იქიდან მდივანმა ვერ მოახერხა კავშირი დაეჭირა ჩვენ მთავრობასთან. იქვე აშკარა იყო, თუ როგორ მოაწყვეს აჯანყება გლეხებისა და როგორ აუტეხეს ქართველ ჯარებს ომი. რუსის აფიცრები, აშკარათ ამბობდნენ, რომ ისინი „სომხის ჯარით მალე შევიდოდნენ თფილისში". იქიდან ბ-ნი ს. მდივანი და სომეხი დელეგატები ავტომობილით წამოვიდნენ თბილისში, ჩვენ, მატარებლის „ბრიგადამ" გადავწყვიტეთ ფეხით წასვლა ალსტაფაში. წავედით და იქიდან კი მატარებლით ჩამოვედით თბილისში.

—

### სამცხე-ჯავახეთიდან.

**თბილისი.** 20 დეკ. სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს. ახალქალაქიდან: ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა შორის სრული სიწყნარეა. ლტოლვილები თანდათან ბრუნდებიან თავის კარმიდამოში, ყველა ეროვნებათა შორის სოლიდარული განწყობილებაა და ძველებური მეგობრული კავშირი დამყარდა განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანთა ჩვენდამი დამოკიდებულება საუცხოვოა. ხერთვისის რაიონის მაჰმადიანებმა გამიცხადეს, რომ ოსმალეთმა სრულიად გაგვძარცვა და გვიშუამდგოლეთ მთავრობასთან, რათა საერთაშორისო გზით ოსმალეთს მოსთხოვონ მთელი ზარალის ანაზღაურება, არტაანის ოლქის მაჰმადიანების წარმომადგენლებს ჰგზავნიან აქაურ მაჰმადიანებთან ამბების გასაგებათ, ჩვენ როდის შეგვიერთებს საქართველო, აგრარული საკითხი მწვავედ სდგას ურაველის რაიონში და ხერთვისის მაჰმადიანებმა მომთხოვეს მიმღები კომისიების გამოგზავნის დაჩქარება, განსაკუთრებით დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი ჯარების ჯავახეთში შესვლას დუხობორები, რომელთა რიცხვი ათი-ათასზე მეტია. ესენი ყოველ მხრივათ ეხმარებიან ჩვენს ჯარებს და ხელს უწყობენ ამ ცივ ზამთარში საზღვრის სადარაჯოებზე, სადაც, აგერ ერთი კვირაა, თავს გვესხმიან ალექსანდროპოლის გზიდან მოსული სომხის ჯარები. 16 ქრისტეშობისთვეს დილითაც შეტაკება მოხდა და მცირე ხნის შემდეგ სომხის მთელი ჯარი უკუქცეულ იქმნა. სომხეთის მხრით მუდმივმა თავდასხმამ დუხობორებში შიშიანობა შექმნა. მე როგორც მთავრობის წარმომადგენელს მომმართეს შეგატყობინოთ, რომ ჯავახეთში მცხოვრები დუხობორების მთელი სოფელი კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ სომხების აგრესიულ ნაბიჯის გამო. მათი სიტყვით, თუ აქ სომხის ჯარი შემოვიდა დუხობორები დასტოვებენ აქაურობას და თბილისში გადმოიხვეწებიან. ასე იყვეა მაჰმადიანებისა, კათოლიკებისა და ქართველების სულის კვეთება. საჭიროა იცოდეთ რომ ჯავახეთში მცხოვრემ სომხთა რიცხვი მთელი მაზრის მცხოვრებთა 30 პროც. კი არ შეადგენს. დღეს ეს სომხებიც კი მტრულათ არიან განწყობილი დაშნაკელებისადმი. ამბობენ დაშნაკელებმა აქ მხეკობა ჩაიდინეს და სამაგიეროთ ხალხი დაისაჯა, რომლის 60 პროც. სრულიად ამოწყდა. მთელი მცხოვრებლები აცხადებენ, რომ თუ ჯავახეთში ხელმეორეთ შემოდგა ფეხი დაშნაკელების ზინვორებმა, ჩვენ კვლავ გადავიხვეწებით თბილისის მიდამოებშიო. დუხობორების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები გზავნიან თბილისში დელეგატებს მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ, რომ ისინი კმაყოფილნი არიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარებით და ითხოვენ მის ფარგლებში დარჩენას.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული **ლ. რუხაძე.**

—

**რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტის მოწოდება.**

რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაეხმაროს ჩვენს მეომართ რითიც შეუძლიანთ და მით გაუადვილოთ სანგრებში ყოფნა. მოქალაქენო! შემოსწირეთ: ფული, სასმელი, შაქარი ჩაი, წუმწუმა, ლვედები და სხვა საჭირო ნივთები.

რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტი.

გოლოვინის პროს. 24. არაქელოვის სახლი.

# ქრონიკა

**სახადი.** უკანასკნელ დღე და ღამეში ქალაქის საავადმყოფოში ქალაქის სხვა და სხვა უბნიდან მიიყვანეს 31 სახადით ავადმყოფი. ქსენონის სხვა განყოფილებიდან სახადიანებთან გადმოიყვანეს 6 ავადმყოფი. მორჩნენ და გამოიწერენ—7, მომკვდარა სახადით 3 და 17 დეკემბერს ქსენონში დარჩა 378 სახადიანი. 1 დეკემბრიდან გუშინდლამდე ქსენონში მიუყვანიათ 338 სახადიანი, მორჩენილა 96 და მომკვდარა 23.

**ნავთი.** ქალაქის გამგეობამ ხელი მოაწერა ბაქოს ფირმის წარმომადგენელთან ხელშეკრულობაზე თბილისში ასანთებ ნავთის ჩამოტანის და აქ გაყიდვის შესახებ. ხელშეკრულობის პირობისამებრ 100 ვაგონ ასანთებ ნავთიდან 25 ვაგონი ამ ფირმამ ქალაქის გამგეობას უნდა ჩააბაროს ფუთი 25 მანეთობაზე და დანარჩენი ნავთი ქალაქში გაყიდოს იმ ფასად, რომელიც ნიხრით იქნება დანიშნული. ქალაქის გამგეობას ეს ნავთი უნდა პურზე და სხვა სანოვაგეზე გასაცვლელად.

**კრება.** დღეს, 21 ქრისტ, საღამოს 6 საათზე სასახლეში პარლამენტის ქვესტორის კაბინეთში დანიშნულია „სახ. უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებათა ლექტორთა" კრება. ყველას დასწრება აუცილებლად საჭიროა. გთხოვთ დანიშნულ დროისთვის გამოცხადდეთ; გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხები.

**მისალმება საქართველოს მთავრობას.** ბაქოს ქართველ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე კვიტაშვილი, ბაქოს ქართველების სახელით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს მიესალმა და გამარჯვება უსურვა.

**საქ. პარ. ქვესტორი ს. ჟორჟოლიანი.** საქართველოს პარლამენტის ქვესტორმა ს. ჟორჟოლიანმა თხოვნით მიმართა პრეზიდიუმს, გაანთავისუფლონ თანამდებობიდან, ვინაიდან იგი ბრძოლის ასპარეზზე მიდის სამშობლოს წანაშე მოვალეობის მოსახდელად.

**სომხის ტყვეები.** პარასკევს, 20 ქრისტეშობისთვეს ეკატერინენფელდიდან სომხის სამხედრო ტყვეები ჩამოიყვანეს რიცხვით 58 კაცი. მათ შორის ორი ოფიცერია. შტაბს-კაპიტანი ტერ-კაზაროვი და პორუჩიკი კარჩიკიანი.

## ეპისკოპოს თეოფილაქტეს მოქმედება

საქართველოს ამ ჟამად ყოველ კუთხეში საკმაო მტრები მოეძებნება. ცნობილ რუსთა ეპ. თეოფილაქტე ჩასულა ბაქოში და გენ. ტომსონი უნახავს. ეპისკოპოს ინგლისის გენერლისათვის შეუჩივლია, ვითომ საქართველოს მთავრობა სასტიკად სდევნის რუსის სასულიერო წოდებას და ყველა რუსის მცხოვრებთ. ამის დასამტკიცებლად თეოფილაქტეს გენერალ-გუბერნატორის ბრძანება უჩვენებია, სადაც ნათქვამია, რომ ყველა უსაქმო ხალხმა, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ საქართველოში, მისი საზღვრები დასტოვონ. ამაზე გენერალ ტომსონს უპასუხნია: „როგორც ვუწყი, ეგ შეეხება უფრო გაბალშევიკებულ უსაქმო ხალხს, როგორც საქართველოს გენერალ-გუბერნატორი იხსენიებს, და არა იმ მკვიდრ მცხოვრებთ, რომელნიც არ ერევიან არავითარ შეთქმულობაში საქართველოს წინააღმდეგ. რუსები თბილისში უკეთ სცხოვრობენ, ვიდრე რუსეთში და მე მგონი, თქვენ არავითარი საყვედური არ გეთქმით საქართველოს მთავრობის წინაშე.

გაწბილებული ეპისკოპოსი უიმედოთ დაბრუნებულა.

საინტერესოა ვიცოდეთ, საქართველოს მთავრობა დაუშვებს იმას, რომ ეს ეპისკოპოსი კვლავ თბილისში დაბრუნდეს?

## ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

(დასასრული*)

მომხსენებელმა ბ. რუსიამ აღნიშნა, რომ რუსეთის ძველ მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა ამ ინსტიტუტის განაპირა ქვეყნებში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში შემოღება, სადაც თითქოს სისხლის აღება ყოფილიყოს გავრცელებული. რასაკვირველია, ბ. რუსიას შეხედულება საერთოდ მისაღებია, მაგრამ საქართველოს განაპირა ადგილებში სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ძალიან საშიშია ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, ვინაიდან ეს ადგილები კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილნი არიან. კერძოდ სოხუმის ოლქში სისხლის აღება დღესაც დარჩენილია, და თუ საბრალმდებლო სკამზე რომელიმე ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა, ძალიან საეჭვოა, რომ ნაფიც-მსაჯულებმა გაბედონ მისი დამნაშავედ ცნობა.

კანონ-პროექტის მთავარ ნაკლს ის წარმოადგენს, რომ ნაფიც-მსაჯულები ასრულებენ არა მარტო იმ ფუნქციას, რომელიც სინიდისთან არის მჭიდროთ შეკავშირებული, არამედ იმასაც, რაც უმთავრესად გონების ფუნქციას შეადგენს: ნაფიც-მსაჯულნი სწყვეტენ როგორც დანაშაულობის საკითხს, აგრეთვე სასჯელსაც უნიშნავენ დამნაშავეს. ასე რომ 12 წევრისაგან შემდგარი სასამართლო ერთ იურისტის თავმჯდომარეობით სავსებით თავიდან-ბოლომდის პიროვნების გასამართლების საქმეს აწარმოებს. როდესაც პარლამენტის წევრმა გ. გვაზავამ შენიშნა, რომ შეუძლებელია უცოდინარ პირებს მივანდოთ სასჯელის საკითხის გადაწყვეტაო, ამაზე ბ. რუსიამ რიხიანად უპასუხა: რატომ გლეხს არ შეუძლია ვისმე კატორღა გადაუწყვიტოსო. ბ. რუსიას თამამად შეუძლია იმავე უფლებით იკითხოს, რატომ უნივერსიტეტის დარაჯს არ შეუძლია უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრი იყოს. ბ. რუსია შეეხო ეგრედ-წოდებულ „დანაშაულობათა საფეხურებს" და, როგორც მისი სიტყვიდან სჩანს, ეს ისეთი ადვილი საქმე უნდა იყოს, რომ გლეხისათვისაც ადვილია მასში გაერკვიოს იურისტ-თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. როგორც ვიცით, ბ. რუსია მოსამართლეთ არასოდეს არ ყოფილა, თუ არა კარგად ეცოდინებოდა, რომ განათლებით იურისტსაც დიდი გამოცდილება სჭირია, რომ არსებულ სისხლის სამართლის დებულებათა სასჯელი კანონის შესაფერად ამა თუ იმ შემთხვევაში გამოიანგარიშოს. თუ კი მხედველობაში მივიღებთ ახალ სისხლის სამართლის დებულებას, რომლის ცხოვრებაში გატარებას ჩვენი იუსტიციის სამინისტრო ალბად იმიტომ აყოვნებს, რომ უკეთესის შემუშავების იმედი აქვს, იქ მოსამართლეს თუმცა მეტი ინიციატივა ეძლევა; მაგრამ გონებრივი პროცესი მაინც დასჭირდება. ბ. რუსიას ცხოვრება მალე დაუმტკიცებს, მაგ., თუ კი ჩვენ სენატი გვექნება, რასაკვირველია, იქ ხშირი იქნება სასამართლოს განაჩენთა გარჩევა სასჯელის მიყენების მხრივ. ასე, რომ იურისტს, ხელმძღვანელს პროცესისას არა მარტო კანონთან და თეორიასთან, არამედ აგრეთვე სასამართლო პრაქტიკასთან ექნება საქმე. მაშასადამე, ყველა ეს მასალები მან სათათბირო ოთახში მოსამართლე გლეხებს უნდა გადაუშალოს; ეს იქნება ისეთივე კომიკური სურათი, როგორც მაგ. აფხაზეთის საბჭო, ან პარლამენტი, რომელშიაც გადამწყვეტს როლს ეგრედ-წოდებული წერა-კითხვის „უცოდინართა ფრაქცია" ასრულებდა, სწორედ, გასამართლების საქმეში არის ორი მხარე, ერთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სინდისს და ინტუიციას აქვს: სასამართლოს წინაშე იშლება ის ფაქტები, რომელიც დანაშაულობასთან არის შეკავშირებული და აი აქ სინდისმა უნდა გადაწყვიტოს, საკმარისი თუ არა ეს ფაქტები, რომ ადამიანი დამნაშავედ იქნას აღიარებული; მხოლოდ შემდეგ იმისა, როცა სინიდისმა ეს საკითხი გადასწყვიტა, სდგება უკვე საკითხი, რომელიც გონებამ, ცოდნამ უნდა გადასწყვიტოს: ეს არის უკვე რაციონალისტური მხარე.

თუ კი პირველ შემთხვევაში კანონმდებელი, საზოგადოების, ხალხის სინიდისს მიმართავს, მეორე შემთხვევაში მიმართავს მათ, რომელნიც ცოდნის და გამოცდილების წარმომადგენელნი არიან. რასაკვირველია, შეიძლება ისტორიამ, მართვა-გამგეობაში და მოსამართლობრივ შემოქმედებაში ხალხის ხანგრძლივმა შემოქმედებამ ეს ორი გამოცალკევებული მხარე ერთი და იგივე საქმეთ შეაერთოს, მაგრამ დღესდღეობით-კი ჩვენში მაინც ეს ყოვლად მოუხერხებელია და ის იზოლაცია, რომელიც ბ. რუსიას ნაფიც მსაჯულთათვის საჭიროდ მიაჩნია სწორედ ამას ადასტურებს.

ევროპიულ სახელმწიფოთა და რუსეთის პრაქტიკამ საკმაოდ დაამტკიცა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ასეთი ფორმის ღირსება. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კანონპროექტის მიერ მოწონებულ ფორმას სრულებით არ ექნება ხალხის წინაშე დარბაისლების ხასიათი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხალხმა სარევოლუციო ტრიბუნალები იგემა. ხოლო დარბაისლის სასამართლოსას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

დამახასიათებელი არის ის, რომ ცნობილ იურისტ-სოციალისტს ანტონ მენგერს შესაძლებლად მიაჩნია ევროპიულ სახელმწიფოებში შემუშავებულ სასამართლოების ფორმის დატოვება სოციალისტურ სახელმწიფოებშიდაც, მაგრამ ჩვენში კი მას დღევანდელ პირობებშიდაც არ სჯერდებიან.

სოციალისტურ სახელმწიფოშიო, ამბობს ანტონ მენგერი, შეუწყნარებელია იმ სასამართლოს გაუქმება, რომლის რთული და დარბაისულ ფორმას ხალხი საუკუნოებით შეეჩვიაო. (Антонъ Менгаръ, Новое ученіе о государствѣ).

**ვლ. ემუხვარი.**

*) იხ. „საქართველო" № 244.


ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

**საქართველო**

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . . | 75 „ |
| სამი თვით . . . . . . . . . | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 „ |

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

**ფოსტის ადრესი:** თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

**ტელეგრაფის ადრესი:** თბილისი „საქართველო".

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

გერონტი ქიქოძის წიგნი „რომანული ნერგია"

(კრებული წერილებისა)


# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

## ბოლშევიკური ცნობები

### რ უ ს ე თ ი

**ჩრდილოეთის ასპარეზი.** (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). (დასაწყისი დამახინჯებული და გამოტოვებულია) სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ასპარეზი ფინეთის ყურეში კურძულ (?) ჩვენმა გემმა მტრის ბატარეა გაანადგურა ნარვის რაიონში ჩვენმა ნაწილმა ვეზენბერგის ჩრდილოეთით-აღმოსავლეთის პოზიცია დაიჭირა. ვალკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სადგური ანცენი დაიჭირა. სამხრეთის ასპარეზი. ბობროვის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, ტყვეები წამოიყვანა და ხელთ იგდო ტყვიის მფრქვეველები და სხვა სამხედრო მასალა. პოვორინის სამხრეთით ჩვენ დავიჭირეთ კრასნი ნევინის რაიონში ჩვენ ხელთვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. სემენოვკას რაიონში ჩვენმა ნაწილმა პრეობრაჟენსკი და დუბროვი დაიბრუნა. აღმოსავლეთის ასპარეზი. უფის მიმართულებით ჩვენ რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. კუნკურის სამხრეთით ჩვენ ხელთვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და მრავალი სამხედრო მასალა. კუვშინის მიმართულებით შუსოვის ქარხნის სამხრეთ-დასავლეთით მტერი გავაქციეთ. ჩვენ ხელთვიგდეთ ჯავშნიანი მატარებელი. ჩრდილოეთით ბრძოლის შემდეგ დავიბრუნეთ ბელებეი. ბიკბარდინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სარაპულის აღმოსავლეთით წინ წაიწია.

**პოლონეთის ქალაქთა საბჭოები.**

**მოსკოვი,** 17 ქრისტ. პოლონეთის ქალაქებში შესდგა საბჭოები პოლონეთის და ლიტვის კომუნისტების ხელმძღვანელობით. ეტყობა რომ ოპორტუნისტულ საბჭოების მუშათა რაზმები რომელნიც განხეთქილებას გაურბოდენ, ბოლშევიკებთან შეერთებას სცდილობენ. პილსუდსკის მთავრობას მშრომელთა მასაში ნდობა არა აქვს. პოლონეთის რეაქციონერები უქმად ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ ლიტვის და ბელორუსის კომუნიზმს. წითელი არმიის მოახლოვებისთანავე კონტრ-რევოლუციონური ჯარი იფანტება. ლიტვის ქალაქებში, სადაც ლიტველნი თავს იყრიან, კომუნისტები ვილნის მსროლელთა პოლკს ადგენენ. პოლკის შედგენა მარჯვედ სწარმოებს. სარატოვში და სამარაში უკვე 2000 კაცი ჩაეწერა ლიტვის წითელ არმიაში.

**პსკოვის გუბერნიის აღმასრ. კომიტეტის სხდომა.**

**პსკოვი.** 16 დეკ. შესდგა გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა პსკოვის პროლეტართა ორგანიზაციების მონაწილეობით.

**დვინსკში.**

**დვინსკი.** 17 ქრისტ. დვინის ციხესიმაგრეში გერმანელთა მეციხოვნე ჯარში დიდი მღელვარებაა. ჯარისკაცები მუშაობაზე უარს ამბობენ და რუსეთის წითელ არმიაში ჩაწერის სურვილს აცხადებენ.

**ჟიტომირი.** 1 ქრისტ. (დასაწყისი დამახინჯებულია). პეტლიურას ჯარმა საბჭოთა მთავრობისადმი სამტრო პოზიცია დაიჭირა და გომელში თავის რაზმს გზავნის.

**ინგლისის ფლოტი.**

**კარნოფონი.** 18 ქრისტ. თემთა პალატის არჩევნების შედეგის გამო მოსალოდნელია მთავრობაში ცვლილება მოხდეს „დეილი ქრონიკლი" ვილსონის სიტყვის შესახებ სწერს: „ვილსონს სურს, რომ ინგლისმა უმიზნოდ არ გაადიდოს თავისი ფლოტი, რადგან ის ამით აიძულებს ამერიკას თავისი გემთა აღმშენებლობა გააფართოვოს.

**ჩეხო-სლოვაკთა გაწვევა რუსეთიდან.**

**პრაგა.** 11 ქრისტ. ჩეხიის სოციალისტური პრესა მოითხოვს ჩეხოსლოვაკთა რაზმების გაწვევას რუსეთიდან და წინააღმდეგია რუსეთში ახალი რაზმების გაგზავნისა. რუსეთში მყოფ ჩეხთა ჯარის უფროსებმა ბრძანება გასცეს დაუყოვნებლივ დააპატიმრონ ჩეხელ ბოლშევიკთა ბელადი მუნი.

**მემამულეთა თათბირი და ყაზახები.**

**ვორონეჟი.** 16 ქრისტ. კამენსკის სტანიცაში მემამულეთა თათბირმა გადასწყვიტა თავდაცვის მიზნით დაიჭიროს ყაზახები. რისთვისაც გადასდო 500.000 მანეთი.

**ლუგანსკში.**

**ლუგანსკი.** 16 ქრისტ. ქალაქი წითელ-არმიელების ხელშია. პავლოვსკში ბრიანსკის მაღაროების მუშათა დასახმარებლად ჩავიდა კომუნისტთა რაზმი. კრასნოვის ჯარმა ბრძოლით დაიჭირა ქალაქი. დახვრიტეს ყოველი მეათე მუშა. მუშების ქონება დაარბიეს.

**დამფუძნებელ კრებისთვის.**

**სიმფეროპოლი.** 9 ქრისტ. ერების სხდომა სალამს უძღვნის მოხალისეთა ჯარს და მოკავშირეებს და მოითხოვს ახალი დამფუძნებელ კრების მოწვევას.

**პორტუგალიის პრეზიდენტის სიკვდილი**

**ინგლისური პრესა.** 17 ქრისტეშობისთვე. პორტუგალიის პრეზიდენტი მაიორი სიდონის პასი მოჰკლეს 14 ქრისტ. შუაღამისას, როცა ის რკინის გზის სადგურზე მიდიოდა ოპორტოში გასამგზავრებლად. პასს მოხვდა რევოლვერის სამი ტყვია. გაბრაზებულმა ბრბომ იქვე მოკლა მკვლელი.

**სამხედრო მასალა შელდაზე**

ბელგიის მთავრობამ აუწყა ჰოლანდიას, რომ სამხედრო მასალას და სურსათს ინგლისიდან ბელგიაში ჩასატანად შელდაზე გამოატარებენ.

**სმიტის გადადგომა**

„დეილი-ექსპრესის" ცნობით, ომის გათავების გამო სამხედრო კაბინეტიდან გავიდა სმიტი. სმიტს შესთავაზეს პალესტინაში აღებამდე ჯარის სარდლობა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

**ინგლისის ჯარის წინსვლა**

ბრიტანიის ჯარმა გადაიარა რეინი. ცხენოსანმა ჯარმა მიაღწია საოკუპაციო საზღვარს.

**გერმანიის მუშათა და ჯ. კ—თა საბჭოების ყრილობა**

16 ქრისტ. გაიხსნა გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობა. აღსანიშნავია მისი თანაგრძნობა ებერტის და შეიდემანის ჯგუფისადმი და დამფუძნებელ კრების მოწვევის სურვილი.

## ფრანგული პრესა

17 ქრისტეშობისთვე. საფრანგეთის სენატს საზეიმო სხდომა ქონდა ელზას-ლორენის საფრანგეთთან შემოერთების გამო, 17 ქრისტეშობისთვეს, სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ მოაგონა სხდომას, თუ რა სიხარულით შეეგებენ მცხოვრებნი პრეზიდენტს მეტცსა და სტრასბურგში. თავმჯდომარემ სთქვა: არაჩვეულებრივი და გასაკვირალი სანახაობა იყო მცხოვრებთა აღტაცებული შეხვედრა ყველასათვის და განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ეგონა, რომ სანტიმენტალური მოგონება წარსულისა თანდათან დასუსტდებოდა. დიახ, ნათესაობის გრძნობა შეუმჩნევლათ სისხლთან ერთად გადადიოდა შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და ჩვენს აღფრთოვანებულ თვალებს სილამაზეთ და სიმბოლოთ მოევლინენ ქალები, ელზას-ლორენის მომავალი დედები, რომლებმაც საფრანგეთის ძველი ჯარისკაცებივით ჩვენს წინ მწყობრათ ჩაიარეს. დიახ, პირველი წამები მაჩვენებელია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისა, მაგრამ ქუჩამ და ბრბომ ჩვენ დაგვანახვა რაღაც უფრო მაღალი, რაც გამარჯვებით არ მოიპოვება, არ შესყიდება და ვერ მოეწყობა.

**საზავო კონფერენცია.**

„ტაიმსი" იუწყება, რომ საზავო კონფერენცია გაიხსნება იანვრის პირ-

ველ ნახევარში. კონფერენციის გახსნის დღე ჯერ არ არის გამორკვეული.

## გერმანული პრესა

**ბელგიელების უწესოები შაპელში.**

ჰოლანდიური გაზეთი „ფატერლანდი" იუწყება, რომ ე—ლაში და შაპელში ბელგიელებმა უწესოება მოახდინეს.

**სახალხო კომისრის მოხსენება საბჭოთა კრებაზე.**

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახელმწიფო კონფერენციამ განიხილა სახალხო კომისარის მოხსენება, რომელმაც სასტიკათ გააკრიტიკა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება. მომხსენებელმა სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ მთავრობა ემყარება მთელი სახელმწიფოს ხალხის ფართე წრეების ნდობაზე ისე როგორც გერმანიის არც ერთი წინანდელი მთავრობა და მთელი ქვეყნის არც ერთი მთავრობა. აღმასრულებელ საბჭოსთან მოქმედების შეთანხმება ყოველთვის შესაძლებელი არ იყო. ბერლინის აღმასრულებელი საბჭო ახლა უქმდება. სოლფის თხოვნა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქნა: მაგრამ სოლფი აღმასრულებელ საბჭოს თხოვნით დარჩება თავის თანამდებობაზე, ვიდრე მის მოადგილეს არ ვიშოვით. მომხსენებელი გიდავიდა საერთო მდგომარეობის განხილვაზე და განაცხადა, რომ თუ სახალხო მეურნეობის აღდგენა გვსურს, უნდა ვიზრუნოთ, რომ წარმოება არ შეირყეს. სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარების დროს ვერ განხორციელდება ყველა სურვილი. მხოლოდ მაშინ შეიძლება სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარება როცა მეურნეობა ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება. ხალხის ბედი ახლა კი ისეთია, რომ მას სჭირია მუშაობა და გაჭირვების ატანა. პოლიტიკურათ განთავისუფლება არ ნიშნავს სოციალურ პრობლემების დაწყვეტას. მშრომელმა კლასმა საქმ... ნამდვილი ვითარება უნდა შეიგნოს. არავითარ ძალას არ შეუძლიან შეცვალოს დარღვეული ჭეშმარიტება და შეუბრალებელი სინამდვილე. კამათმა ნათლათ დაგვანახა, რომ დიდი უმრავლესობა სახალხო რწმუნებულთა მხარეზეა. პროვინციიდან ჩამოსული ორატორები ბერლინის აღმასრულებელ საბჭოს ყოფაქცევას სასტიკათ აკრიტიკებდნენ. ლიბკნეხტისა და როზა ლიუკსემბურგის კონფერენციაზე დაშვების შესახებ შემოტანილ წინადადებას კენჭი უყარეს, წინადადება უარყოფილ იქნა 440 ხმით. მომხრე იყო 60.

## სომეხ ლტოლვილთა თავხედობა

სად. ორთაჭალის სადგურის უფროსი ცერცვაძე დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს შემდეგს:

„დამატებით ჩემი დეპეშისა მოგახსენებთ, რომ სადგურ ორთაჭალაზე თოვლი მოვიდა, რის გამო ლტოლვილი სომხები, რიცხვით 4,800 სული, სამხედრო უწყების ხის ფარდულებს დაეცა რიცხვით 32-ს და სრულიად მიანგრ-მოანგრია. გადარჩა მხოლოდ 5 ფარდული და შეშის მაგიერ სწვავენ. არავითარი მუქარა მათზე არ მოქმედობს. როცა მე მოქალაქობრივ ზომების მიღება დავაპირე, ისინი დამედევნენ და ქართველების ლანძღვით თვითგასამართლებით დამემუქრნენ. ძლივს თავი დავახწიე და რაღაც განგებით გადავრჩი. ამნაირი აუარებელი და ძვირფასი ქონება გაოხრდა ტყუილ უბრალოდ ჩვენი კეთილი მეზობლების წყალობით. გთხოვთ მათ წინააღმდეგ მიიღოთ უკიდურესი ზომები. გთხოვთ გადამიყვანოთ სხვა სადგურზე, ვინაიდან ერთად-ერთი დაუფარავი ვრჩები.

## დუშეთის ამბოხება

დუშეთის აჯანყების საქმე, რომელიც ბ-ნ პ. კახიანს ჰქონდა მინდობილი კიდეც დამთავრდა. პასუხისგებაში მიუციათ 252 კაცი. ამათში უმრავლესობას შეადგენენ მეგრელები—108 კაცი. მაზრის მცხოვრებთაგან პასუხისგებაში მიცემულია 39, რაჭა-ლეჩხუმიდან—35, სომეხი—12, რუსი—8, ოსი—9, გურული მხოლოდ ერთი ფილიპე მახარაძე.

## მოგონ...

1886 წ. მარიამობისთვეა. მალე სწავლაც დაიწყება უნივერსიტეტში და ჩვენც გადამფრენ ჩიტებივით ვიყრით თავს ბათომში. ბათომიდან უნდა გავიდეს გემი „პუშკინი", ჩვენს სიხარულს ბოლო არ აქვს. აი გემიც შეინძრა, და ჩვენც ზღვაში გავდივართ. სხვა და სხვა ეროვნების სტუდენტობა იყრის თავს გემის ბაქანზე, მაგრამ ყველაზე უფრო აღფრთოვანებული ქართველი სტუდენტები არიან, რომელნიც განუწყვეტლივ მღერიან წამახალისებელ სიმღერებს. სიმღერა შეწყდება და ახალგაზრდობა ჯგუფებად იშლება და ჰმართავს ბაასს.

ჩემს ყურადღებას იქცევს ერთი სომხის სტუდენტი, ადესაში მიმავალი, რომელიც მეტად დაღვრემილია. მალე ჩვენც გავმართავთ ბაასს. ცნობის მოყვარეობა არ მასვენებს და სტუდენტს ვეკითხები, რა არის მიზეზი მისი ამ გვარი დაღვრემილობისა—სასიხარული რა მაქვს, მეუბნება სტუდენტი. სომხები დაქსაქსული ვართ, გადავწყვიტედ სომხის საქმე მოვაწესრიგოდ, თავისუფლება მოვიპოვოდ. ჯერ გვინდოდა მოძრაობა დაგვეწყო (რუსეთში) კავკასიაში და აქ გაგვეჩინა თავისუფალი სამშობლო, მაგრამ რუსეთი უზარმაზარია და ჩვენ აქ პირობები არ გვიწყობს ხელს. სათათრეთი კი უფრო უკულტუროა და გვინდა იქ დავტრიალდეთ, დავიწყოთ ბრძოლა. ვერ მომისვენებია, იეშურება უნივერსიტეტი დავამთავრო და მერმე აუცილებლად გადავსახლდები ოსმალეთში და სიკვდილსაც არ შეუშინდები, ოღონდ ველირსო სომხეთის აღორძინებას. აი რა არის ჩემი ნატვრა, აი რა არ მაძლევს მოსვენებას. ჭაბუკი გულწრფელად მემუსაიფებოდა, მისი დაღვრემილი სახე, სარკე იყო მისი გულის ნადებისა. ამ გულწრფელობამ, სამშობლოს მოპოების დიადმა სურვილმა სრულებით გამიტაცა და ჭაბუკის სიყვარულმა და თან შურმაც ერთნაირად შემიპყრო მე. რა დიდი განსხვავებაა ჩვენი და სომხის ახალგაზრდობის შორის, მწუხარედ ვფიქრობდი მე. ერთის მხრით დიდი დაუდევრობა და სამშობლოს მოდუნებული სიყვარული, მეორეს მხრით აღზნებული სურვილი თავისუფალი სამშობლოს აჩენისა.

არ ვიცი შეუდგა თუ არა ჭაბუკი თვისი განზრახვების შესრულებას. 30 წელზე მეტია რაც ეს ჭაბუკი, დაღვრემილი და საქმიანი თვალ წინ მიდგია. რამოდენიმე წლის შემდეგ ოსმალეთში მართლაც ახმაურდა სომხობა და საუბედუროდ ეს ახმაურება ძვირად დაუჯდა სომხობას. მანამდის ოსმალეთის მართვა გამგეობაში მრავალი სომეხი ერია. სტამბოლში და სხვა ქალაქებში სომხებს მოქიშპედ მხოლოდ ბერძნები ჰყავდად. მალე სომხების ძალა შემცირდა და დღეს, ოსმალეთში სომხეთის საკითხი საბედისწეროდ გადაიქცა. დაბეჯითებით ვფიქრობ, რომ სომხეთში მომქმედ პარტიაში ჩემი ნაცნობისებური ჭაბუკები დიდ გამონაკლის შეადგენდენ, რადგან პარტიამ ერის ხსნის საქმეში მეტი სიდინჯე, მეტი გამჭრიახობა, მეტი სულგრძელობა რომ ვერ გამოიჩინა. ეს ხომ „მშაკის" ყოფილმა რედაქტორმა ხაჩატუროვმა საჯაროდ აღიარა და ეს გულახდილი თქმა ძვირად დაუჯდა მას. ნუ მოისურვებს ნურც ერი, ნურც კერძო პირი სხვისი უბედურებაზე, თვისი ბედნიერების აშენებას. სხვისი წინააღმდეგ აზხედრება, სხვისი გაუტანლობა ასე ადვილად აღარ ჩაივლის, მახვილის ამომღები, მახვილითვე დაიღუპება.

აი საუკეთესო დარიგება საუკეთესო მოძღვრისა. რა გასასამართლებელი საბუთი მოეძებნება სომხობას, როდესაც იგი ასე ვერაგულად აღუდგა საქართველოს თავისუფლებას. ვერაგულად მოქმედებს და ამ გვარათვე ამოქმედებს სხვებსაც.

(შემდეგი იქნება).

## სახალხო უნივერსიტეტი

სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილების მუშაობა ნაძალადევში თანდათან სასურველ ნიადაგზე მკვიდრდება. ლექტორები ხალისით ეკიდებიან თავის მოვალეობასა. მსმენელთა რიცხვი მატულობს. ამ ჟამათ 22 ლექლექტორი მუშაობს; ამ დღეებში მეორე სემესტრისათვის ლექტორთა კოლეგიაში შევიდა ამხ. სერ. რობაქიძე 1 სამშობის აღწარა 1. დ. შენგელაია 1 ხელოვნება 1. და სხვები. კვირაში 10 ლექცია იკითხება; კვირაში ერთხელ იმართება შეერთებულ აუდიტორიების თანადასწრებით პოლიტიკური ან კულტურული მნიშვნელობის სალამო. ბუნდოვანი სურათებიანი მოხსენებები და ლიტერატურული სალამოები, მოკლე ხანში ამხ. დავ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით განზრახულია საქართველოს უკანასკნელ მეფის გასამართლება ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა" მიხედვით. მაცადინეობა დაიწყო მუზიკალურსა და კოოპერაციის შესასწავლ სექციებში.

შექმნილ მდგომარეობის გამო ყოველ დღე ლექციების დასაწყისში ლექტორი აუდიტორიას აცნობს მომენტს და აწვდის მსმენელს ფრონტიდან მოსულ ცნობათა, რათა წესი და მყუდროება დაცული იქმნეს ჩვენ მებრძოლთა ხელის შესაწყობად.

## ახალციხე-ახალქალაქის დავის გამო

პროფ. პატკანოვიდან დაწყებული, უბრალო სომხის მჯღაბნავიც კი სულ იმას სწერდენ და ავრცელებდენ: „სომხებს გვაქვს მდიდარი ისტორიული წარსულიო.

მართალია ქართველებსაც აქვს მდიდარი წარსული და მწერლობა, ხოლო მათ ისტორიის მწერლობაში კი არც შნო აქვს, არც წერის ოსტატობა და მათ არც უწერიათ ისტორიული წიგნები საქართველოს შესახებო. ერთად ერთი „ქართლის ცხოვრება" აქვთ და მერე ესეც იცით ვისგან არის შედგენილი, სომხის ბერებისა და მღვდლებისაგანო.

ჩვენ, სომხები, ანუ პასიონები სომხეთის ისტორიით ვბრწყინავთ და ქართველები მელექსე მეშაირობით, ანუ პოეზიითაო. მელექსე-მეშაირობა დიდი არაფერია და თუ შედარება იქნება, მაშინ ჩვენ შეიძლება, რომ არც ამით ჩამოვრჩეთ მათაო.

ჩვენა გვყავან ისტორიკოსები ქრისტეს წინა დროდან, ჩვენს ისტორიას ამშვენებენ მოსე ხორენაცი, ლაზერე პარპელი, ლამბროელი, მალაქია ბერი, კირასკას განძაკეცი და უკანასკნელ, ანუ ახალ დროის, ვენეციის ბრიტარისტები და მათი მეთაური ალიბანი და ქართველებს კი არც ერთი ამ გვარი ცოდნის და ღირსების არავინა ჰყავთო.

როგორი მდიდარი ისტორიული მწერლობაც გვაქვს, ჩვენც ამ მდიდარის ისტორიულის მწერლობით მორთულები ვართ და კარგად მცოდნე სომხეთის ძველი და ახალის ისტორიულის ცოდნითაო".

სომხები ნამუსიდამ ხელს თუ არ იღებენ, სთქვან და დაასახელონ ის გარემოება, თუ რომელ სომხის მეისტორიე სწერს და ასახელებს, რომ მესხეთი და ჯავახეთი ჰაისტანიაო. თუ ეს კუთხე ჰაისტანი იყო და არის, მაშ მაშინ საქართველოს სამცხე-საათაბაგო სადღა იყო და ან ამათი ათაბაგები რაღა იყვნენ და ამ კუთხეში რას აკეთებდენ.

სომხების ხსენება ამ კუთხეში იყო ძველიდგანვე ისე მცირე, რომ XVIII საუკუნეში, გეოგრაფ ვახუშტის დროს, მათ ერთად ერთი საყდარი ჰქონდა ახალციხეში, რომელიც მთელ ამ კუთხის სომეხთა მრევლს ჰყოფნიდა.

სომხები აქ გაჩდენ 1830 წ. როცა რუსებმა მესხეთ ჯავახეთი დაიპყრეს, მაშინ აქ ამ კუთხეში მათ ჰყავდათ მქადაგებლები, ესენი აშინებდენ ქართველ მაჰმადიანებს, რომ ეს კუთხე საქართველოა, თქვენც ქართულად ლაპარაკობთ და თქვენ რუსები გეტყვიან, რომ ქართველები ხართო და ამიტომ გაგაქრისტიანებენ კიდეცო.

ამ ეშმაკური ქადაგების მეთაური იყო სომეხთა ეპისკოპოსი კარაპეტი და რუსის გენერალი ვას. ოს. ბებუტოვი, საქართველოს სომეხი და ქართველ მეფეთაგან გათავადებულნი ამათი წინაპარნი, აი ამ გველებმა იმეცადინეს, ქართველი მაჰმადიანები სჯულზე ლაპარაკით შეაშინეს, აჰყარეს და ოსმალეთში გადაასახლეს და მცირე ხანს შემდეგ, ამათის ცდით ამ კუთხეში არზრუმის და ბაიაზეთის სომხები მოიყვანეს და დაასახლეს იმ ნასოფლარის სახლებში, სადაც ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობდენ, ამ დრომდის კი ამ კუთხეში მათი რიცხვი კი არა ხსენებაც არ გაგონილა.

დღეს კი იგინი გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ ახალციხე და ახალქალაქი სომხეთიაო. ამის გასამართლებელ საბუთად მათ ის შემოაქვთ, რომ ვითომ ამ ადგილებში სომხეთა რიცხვი ქართველ ტომზედ უფრო მეტი იყოს. ეს მტკნარი სისულელეა, ჯერ ერთი რომ აქ მათი რიცხვი დიდი არ არის, ქართველი ტომის ერი აქ მათზედ ოთხჯერ მეტია და გინდ რომ ეს ასე იყოს, აბა ეს მაინც რა ლოღიკა არის და პირობები.

ვარშავაში ურიების რიცხვი დიდია პოლონელებზეც, მაგრამ ვარშავა ურიების არ არის, ასევე სხვა ბევრი ქალაქებია, მაგრამ არც ერთ ქალაქს და ადგილებს ურიები არ დასცილებიან. ერთხელ და სამუდამოდ იცოდენ სომხებმა, რომ მესხეთსა და ჯავახეთში ქართველთ ქრისტიანთ და ქართველ კათოლიკეთ რიცხვი 70 სოფელში სცხოვრობს, ორი ამდენი კიდევ ქართველი მაჰმადიანები არიან და ამათაც თავიანთ თავი ქართველად მიაჩნიათ და სომხეთა რიცხვი კი აქ სცხოვრობს სულ 30 სოფელში. ასე, რომ აქ ქართველი ტომის ხალხი სომხებზედ ოთხჯერ მეტია და აბა ასეთ მაგალითების შემდეგ რა შესაწყნარისია ის აზრი, რომ სომხებმა შუაგულ ქართლის კუთხე, ქართველის ტომით დასახლებული ჰაისტანათ აღიარონ.

ეს არ არის სრული უსამართლობა და უსვინდისობა სომხეთის ისტორიის წინაშეც.

უნდა ვსთქვათ, რომ ამის წადილი, ანუ მესხეთ-ჯავახეთის დანებების ტრფიალება სომხებს ადრევე აღეძრათ. 1880 წლებს, მათ მოინდომეს და მთავრობას თხოვნა მისცეს და ნებართვა სთხოვეს, „ნება მოგვეცეს ახალციხეს არზრუმი დავარქვათ და ახალქალაქს ბაიაზეთიო". ეს თხოვნა მთავრობამ არ შეიწყნარა, მერე დაიწყეს ცდა მასზედ, რომ ეს ადგილები ეგება ერევნის გუბერნიაზედ მიეწერა მთავრობას, მაგრამ ვერც ეს მოახერხეს, რაკი ეს ყველაფერი ფუჭათ ჩაუარათ, ახლა უსამართლოდ და უსაბუთოთ დაიწყეს ასეთი დავიდარაბა.

ზ. ჭ.

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს ქ-ნ საბანეევს და სარაჯიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტრავიატა". კვირას ალეშკოს მონაწილეობით მიდის „ფერია".

**საქველმოქმედო კონცერტი.** ხვალ, ყოფილ კადეტთა კორპუსის დარბაზში გაიმართება კონცერტი „მოწყალე დათა კავშირის" სასარგებლოდ.

**მსახიობთა სალამო.** არტისტიულ თეატრში 23 ქრისტეშობისთვეს გაიმართება საინტერესო სალამო, მსახიობთა იაფ-ფასიან სადილის სასარგებლოდ. სალამოში მონაწილეობენ საუკეთესო ადგილობრივი არტისტიული ძალები.

**მაჰმადიანური დრამა.** ვომიკ აშიბეკოვის საბენეფისოდ ამზადებენ ისტორიულ დრამას „ნადირ შახ აფშარ".

## „საქართველოს" რედაქციის ფონდი

შემოსწირეს: ბ. ბ. პაპავამ 500 მან. და №-მა 500 მან.

## თავდაცვის ფონდი

ქართველი თავის პურმარილით იყო ქებული: „ერთად პური გვიჭამია, ერთად პური გაგვიტეხია, იტყოდა ქართველი, ამით კიდეც ნათესაობდა გარეშეს—მასთან თანა მეინახეს. უპურმარილოაო, თუ ვინმეზე იტყოდენ ეს დიდი შეურაცყოფა იყო. ჩვენი სტუმართ-მოყვარეობა პურ-მარილობამ მოხიბლეს სომხები. „სტუმარი ღვთისაა—გარეთ არ გაიგდებაო" თქვეს ქართველებმა და თავიანთი გულუხვობით მიიღეს ლტოლვილი, უსახლკარო, მშიერ-ტიტველი სომხები, მიიღეს „ღვთისა შვილები" გაათბეს, ჩააცვეს, დააბინავეს. წაიკითხეთ ნიჭიერ ბელეტრისტის ბ. მელანის „გიორგი და გეურქა" და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ როგორი ოინებით გამდიდრდენ მოსული სომხები, და როგორ გალატაკდნენ მასპინძლები... წაიკითხეთ დაუღალავი მკვლევარ-მწერლის ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერები და გაიგებთ, რომ სოლოლაკი ზურგიელითა და დოშით ჩაიგდეს ხელში.., გაბატონდენ თბილისში ისე, რომ ქალაქის არჩევნებში ერთი ქართველიც არ გააჭაჭანეს—გაგვიშავეს ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძეც კი—ხმოსნათ დაიწუნეს... ამან თავის დროზე (1892 წელი) ქართველების გულისწყრომაც გამოიწვია, მაგრამ ჩვენ ხომ გულკეთილები ვართ და ეს ჩვენი გულკეთილობა დავამტკიცეთ 1905 წელს, როცა გააფთრებულ თათრებს სომხები არ გავაჟლეტინეთ, მკერდით დავიფარეთ, ბევრი ვაჟკაცებიც შევწირეთ...

გვეგონა ამას მაინც არ დაივიწყებდენ, მაგრამ სომხების გული ვერ გავაძღეთ ვერც პურმარილით და ვერც ჩვენი სისხლით—**შეგვიგინეს** ყოველივე... რა სურთ რა სწადიანთ? ჩვენი გაქრობა, ჩვენი მოსპობა? მაგრამ თუ ჩვენ „ზღვას გადავრჩით" ნუ თუ წვეთს დავარჩობინებთ თავს? ჩვენთვის არ იყო სირცხვილი თუ ჩვენს თავისუფლებას გაანიავებდა ოსმალეთი ან რუსეთი, მაგრამ სად გავახილოთ თვალი თუ რომ სომხებმა დაგვჯაბნეს. არსად და ვერ გვაჯობებენ, ჩვენთან არის სიმართლე და გავიმარჯვებთ კიდეც—საქართველოში არ დარჩება არავინ, რომელიც არ შეებრძოლება ჩვენი სისხლით გასუქებულ „სამგლე გოჭებს". მეც მართალია ჩემს სიცოცხლეში ქათამს არ დამიკლავს, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო და მეც მზათ ვარ იარაღით ხელში ჩემი 14 წლის მოსწავლე ვაჟით სამშობლოს დავიცავ, თუ კი ეს საჭირო დარჩება. დღეს ჩემი მხურვალე სალამი ჩვენს სახელოვან ლაშქარს—ჯარსა და გვარდიას. ვწირავ თავდაცვის ფონდს ორას (200) მანეთს და მოუწოდებ ყველას ნუ აყოვნებენ და გაიღონ თავიანთი წვლილი.

ბათუმიდან ლტოლვილი სასტუმრო „ევროპა"-ს მოიჯარადრე **ნესტორ გლახუნის ძე სიხარულიძე.***)

*) რედაქციამ ბ. სიხარულიძისაგან 200 მ. მიიღო.


საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით

**ქართული ლეგიონი**

**მოიწვევს მოხალისეებს**

**მამულიშვილნო,**

**დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!**

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ დილის 10 საათიდან სალამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი **ლეო კერესელისე.**

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა

**საქართველოს ისტორია**

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტის და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა ძიიღება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4). 10—9

ექიმი

**ივ. ვ. დემურია**

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების. მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

**კერძო სამკურნალო**

**იმ. ა. დ. ალექსიძის**

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ.. სიფილისის. 606—914 ...ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ხ. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

ექიმი

**ნიკ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

ექიმი

**პ. ტარ. ლორთქიფანიძე**

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

გაიხსნა

**თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

**გ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და სალამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

**...**

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. სალამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**ხამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

**ბებელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და სალამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

**სამკურნალო**

**უთავდებაზე ავადმყოფთათვის ექიმ ბ. მ. მძინარიშვილის და დ. ჯ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი** ხელოვნურ კბილების **ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—სალამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან** კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

**გ. მერაბოვისა**

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭლექისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სალამოს 5—8 ს. **საწყლებს უფასოთ.**